
დიკლომისუმდგომი განათლების

(პროფესიულიმზადების)

რეზიდენტურის

პროგრამა

ნეორეკორუგია

2013 წელი

ნეიროქირურგია

ხანგრძლივობა - 6 წელი (66 თვე)

I. ზოგადი დებულებები.

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

ნეიროქირურგიაში სარეზიდენტო პროგრამის მიზანია ექიმ ნეიროქირურგის მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტად მომზადება. პროგრამას გააჩნია სამი ძირითადი კომპონენტი: კურიკულუმი, სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა, რომლებიც სტრუქტურირებული არიან იმგვარად, რომ უზრუნველყონ ცოდნის, უნარ-ჩვევების, და კლინიკური განსჯის უნარის ჩამოყალიბება, რაც აუცილებელი პირობაა ნეიროქირურგიული პრაქტიკისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის წევრები მზად უნდა იყვნენ პროგრამის მიზნისა და ამოცანების შესრულებაში რეზიდენტისათვის ნებისმიერი სახის აკადემიური და პროფესიული დახმარების აღმოჩენისათვის. პროგრამის ნებისმიერი აკადემიური კომპონენტი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ზემოთ აღწერილ მიზანთან და ამოცანებთან.

2. სპეციალობის აღწერილობა

ნეიროქირურგია არის ქირურგიული მეცნიერების დარგი, რომელიც ახორციელებს ცენტრალური (თავისა და ზურგის ტვინი) და პერიფერიული (კრანიალური და სპინალური ნერვები) ნერვული სისტემის და ასევე ხერხემლის პათოლოგიითა (ტრავმული დაზიანება, თანდაყოლილი ან შექმნილი დაავადება) დიაგნოსტიკას, თერაპიულ და ოპერაციულ მკურნალობასა და პოსტოპერაციულ მოვლას. ხოლო ნეიროქირურგია არის ქირურგიული მედიცინის დარგის სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს ცენტრალური, პერიფერიული ნერვული სისტემის და ხერხემლის პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და ქირურგიულ მკურნალობას. პოსტოპერაციულად პაციენტის მეთვალყურეობას.

2.1. სპეციალისტის პროფესიული ზოგადი ცოდნა

- ქირურგიული საქმიანობის იურიდიული ასპექტები;
- პროფესიული პასუხისმგებლობის ასპექტები, მალპრაქტიკა;
- ქირურგიული პრაქტიკის ბიოეთიკური საკითხები;
- სიკვდილის კონსტატაცია და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული დონის დიპლომები;
- პაციენტის უსაფრთხოების პრინციპები;
- ქირურგიული მკურნალობის ხარისხი და მისი კონტროლის პრინციპები;
- ქირურგიული სამუშაო გარემოს უსაფრთხოება, პროფესიული მავნეობის საკითხები;
- ქირურგიული დახმარების არსი, მისი ორგანიზაცია და მენეჯმენტი – ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების სამივე დონეზე (პირველადი, მეორადი და მესამეული);
- კრიტიკულ შემთხვევათა კლინიკური მართვა; ქირურგიის ეკონომიკური ასპექტები;
- ზოგადი სამედიცინო მენეჯმენტი (კრიზისული სიტუაციების მართვა, დროის მენეჯმენტი, ჯგუფის მუშაობის პრინციპები);
- ქირურგიული ავადმყოფის ინფორმირებული თანხმობა;
- რისკის შეფასება და სკალირების სისტემები ქირურგიულ პრაქტიკაში, ქირურგიული გადაწყვეტილების მიღება;
- მტკიცებულებებზე დაყრდნობილი პრაქტიკის ინტერპრეტაცია;
- ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ახალი სამკურნალო საშუალებების ანალიზი;
- კოლეგებთან, პაციენტებთან, მათ ნათესავებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ასპექტები;
- ვერბალური, წერილობითი და ელექტრონული კომუნიკაციები;
- კონფლიქტების გადაწყვეტა და მენეჯმენტი;
- საკითხისა და შემთხვევისადმი მულტიდისციპლინარული მიდგომის პრინციპები;
- მონაცემთა შეგროვება, სკრინინგული პროგრამები, სტატისტიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები ქირურგიაში;

- კლინიკური აუდიტი და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესები;
- მკურნალობის უწყვეტობისა და პაციენტთა გადაცემის პრინციპები;
- სამეცნიერო პრინციპები ქირურგიაში, კლინიკური კვლევების დიზაინი და ანალიზი;
- ოპერაციის ფსიქოლოგიური ეფექტები და მძიმე დანაკარგები, რეაბილიტაცია.

2.2. დაავადებების, პათოლოგიური მდგომარეობების ჩამონათვალი, რომელთა კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას მოიცავს ნეიროქირურგია

- ქალა ტვინის ღია და დახურული ტრავმა.
- ხერხემლის და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანებები.
- პერიფერიული ნერვული სისტემის ტრავმული დაზიანებები.
- ინსულტი.
- ნეირონკოლოგია (თავის, ზურგის ტვინის და პერიფერიული ნერვების სიმსივნეები).
- თავის და ზურგის ტვინის სისხლძარღვოვანი დაავადებები (არტერიული ანევრიზმები, არტერიოვენოზური მალფორმაციები, ვენური ანგიომები და სხვ.).
- თავის და ზურგის ტვინის განვითარების მანკები.
- ლიქვოროდინამიკის დარღვევები (ჰიდროცეფალია).
- ხერხემლის დეგენერაციული დაავადებები.
- ფუნქციური ნეიროქირურგია.

ნეიროქირურგიული პათოლოგიებით გამოწვეული მდგომარეობების მართვა, ავადმყოფის პრე-, ინტრა და პოსტოპერაციული მართვა საბაზისო და კლინიკური გამოცდილების გამოყენებით. კრიტიკული აზროვნების უნარი ქირურგიული გადაწყვეტილების მიღებისას.

2.3. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს ნეიროქირურგს

- სისხლის, შარდის, თავზურგტვინის სითხის და განაელების საერთო, ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზები.
- კოაგულოგრამა.
- ელექტროკარდიოგრაფია.
- რენტგენოგრაფია.
- სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, თირკმლის და ენდოკრინული სისტემის შესაფასებელი ტესტები.
- წყალ-მარილოვანი ბალანსის შეფასება და შენარჩუნება.
- ბიოფიზიკისა და ციტოლოგიური კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია.
- უმარტივესი ნეიროფსიქოლოგიური კვლევები.
- თავის ტვინის და ხერხემლის კომპიუტერული ტომოგრაფია.
- თავის ტვინის და ხერხემლის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია.
- თავის და ზურგის ტვინის სისხლძარღვების კონტრასტული ანგიოგრაფია.
- კონტრასტული მიელოგრაფია.
- გამმა სცინტიგრაფია.
- პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფია.
- თავის ტვინის და ბრაქიოცეფალური არტერიების დოპლეროგრაფია.
- ელექტრონეირომიოგრაფია.
- ელექტროენცეფალოგრაფია.
- გამოწვეული პოტენციალები.
- ოფტალმოსკოპია და მხედველობის პერიმეტრია.
- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი და მძიმედ დაზიანებული პაციენტთა კლინიკური შეფასების შკალები.
- მუცლის და კიდურების სისხლძარღვების დოპლეროგრაფიული კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია.
- იმუნო-სეროლოგიური კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია.

2.4. ნეიროქირურგის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები

- ვენოპუნქცია.
- ვენასექცია.
- ცენტრალური და პერიფერიული ვენების და არტერიების კათეტერიზაცია.
- ლუმბალური პუნქცია.
- სუბოქციპიტალური პუნქცია.
- ადგილობრივი და რეგიონალური გაუტკივარება.
- სხვადასხვა ნერვული და ფასციტური წარმონაქმნების ბლოკადა.
- ინტუბაცია.
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია.
- ნაზოგასტრალური ზონდირება.
- თავის და ზურგის ტვინის სისხლძარღვთა კონტრასტული ანგიოგრაფია.
- ცისტერნოგრაფია.
- მიელოგრაფია.
- კომპიუტერული ტომოგრაფია.
- ანგიოგრაფია.
- თავის ტვინის და ბრაქიოცეფალური სისხლძარღვების დოპლეროგრაფია.
- ბიოფსისა და ციტოლოგიური კვლევის მასალის აღების პრინციპები და ტექნიკა.
- ვენტრიკულოსტომია
- ლუმბალური დრენაჟის იმპლანტაცია
- ICP მონიტორის იმპლანტაცია
- სტერეოტაქსიული ბიოფსია.
- ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება.

ოპერაციების ჩამონათვალი რომელსაც უნდა ფლობდეს ნეიროქირურგი მადალტექნოლოგიურ-მადალკვალიფიციურ სამკურნალო დაწესებულებებში:

- თ.ტ. პარკუჭების პუნქტირება (წინა და უკანა რქის)
- თავის მიდამოს ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება
- ტრაქეოსტომია
- სახის მიდამოს ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება
- ლამინექტომია
- თავის ქალას კონვექსიტალური და ბაზალური კრანოტომია და კრანექტომია
- ვენტრიკულოპერიტონეოსტომია
- ვენტრიკულოატრიოსტომია
- ენდოსკოპიური ოპერაციები ოკულუზიური ჰიდროცეფალიის დროს.
- ქრონიკული სუბდურული ჰემატომის დრენირება
- ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევების ევაკუაცია
- ინტრაკრანიალური ახალწარმონაქმნების რეზექცია
- კრანოფაციალური სიმსივნეების რეზექცია
- თავის ქალას თადისა და ფუძის სიმსივნეები
- თავის ტვინის არტერიული ანევრიზმების კლიპირება
- თავის ტვინის მალფორმაციების და სხვა სისხლძარღვოვანი პათოლოგიების (კავერნოზული ანგიომა და სხვ.) რეზექცია.
- ჰიპოფიზის ადენომის რეზექცია ტრანსკრანიალური მიდგომით
- ჰიპოფიზის ადენომის რეზექცია ტრანსნაზალური-ტრანსფენოიდანური მიდგომით მიკროქირურგიული ტექნიკის გამოყენებით.

- ჰიპოფიზის ადენომის რეზექცია ტრანსნაზალური-ტრანსფენოიდანური მიდგომით ენდოსკოპიური ტექნიკის გამოყენებით.
- თ.ტ. არტერიული ანევრიზმების კლიპირება
- თ.ტ. არტერიოვენოზური მალფორმაციების რეზექცია.
- სტერეოტაქსიული ბიოფსია
- კისრის მალთაშორისი დისკის თიაქრის რეზექცია და მალის სხეულების ფიქსაცია წინა მიდგომით.
- გულმკერდის, წელის, და გავის მალთაშორისი დისკების ოპერაცია
- გულმკერდის, წელის, და გავის მალთაშორისი დისკების ოპერაცია fusion-ის და ტრანსპედიკულური ფიქსაციის გამოყენებით
- ტრანსნაზალური ოპერაციები ქიაზმალურ სელარული მიდამოს სიმსივნური პროცესების დროს.
- ტრანსნაზალური ენდოსკოპიური ოპერაციები ქიაზმალურ სელარული მიდამოს სიმსივნური პროცესების დროს.
- ვასკულური დეკომპრესია ნეიროვასკულური კონფლიქტების დროს (სამწვერა ნერვის ნევრალგიის, ჰემიფაციალური სპაზმის და სხვ.)
- ბრაქიოცეფალური არტერიების ტრომბექტომია მათი სტენოზის დროს.
- ბრაქიოცეფალური არტერიების რეზექცია და რედრესაცია S-ის მაგვარი დაკლანკილობის დროს.
- თავის ტვინის არტერიული ანევრიზმების ოკლუზია.
- თავის და ზურგის ტვინის არტერიოვენოზური მალფორმაციების ემბოლიზაცია.
- თავის და ზურგის ტვინის დურალური და სხვა არტერიოვენოზური ფისტულების ოკლუზია.
- ბრაქიოცეფალური არტერიების სტენტირება და გაფართოვება ენდოვასკულური მეთოდით.
- კაროტიდო-კავერნოზული შერთულის გათიშვა.
- ინტრა და ექსტრაკრანიალური სისხლძარღვების სტენტირება თ.ტ. იშემიურ დაავადებების დროს.
- ინტრაკრანიალური სისხლძარღვების ანგიოპლასტიკა (მექანიკური და ფარმაკოლოგიური) სისხლძარღვოვანი სპაზმის დროს.
- თავის ტვინის სიმსივნეების სისხლძარღვოვანი ქსელის ემბოლიზაცია.
- რეკანალიზაცია, თრომბექტომია, თრომბოლიზისი.

ოპერაციების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს ქირურგი დროებით გარდამავალ ეტაპზე დაბალტექნოლოგიურ-ნეიროტრავმატოლოგიურ კლინიკაში.

- თ.ტ. პარკუჭების პუნქტირება (წინა და უკანა რქის)
- თავის მიდამოს ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება
- ტრაქეოსტომია
- სახის მიდამოს ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება
- ლამინექტომია
- თავის ქალას კონვექსიტალური და ბაზალური კრანოტომია და კრანიექტომია
- ვენტრიკულოპერიტონოსტომია
- ვენტრიკულოატრიოსტომია
- ქრონიკული სუბდურული ჰემატომის დრენირება
- მწვავე ექსტრა-აქსიალური ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევების ევაკუაცია

ოპერაციების და მანიპულაციების ჩამონათვალი რომელსაც უნდა ფლობდეს ნეიროქირურგი მაღალტექნოლოგიურ სამკურნალო დაწესებულებებში:

- ცენტრალური და პერიფერიული ვენების პუნქტირება და კათეტერიზაცია.
- ტრაქეის ინტუბაცია.
- ტრაქეოსტომია.
- ქიმიოთერაპია ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის სიმსივნეების დროს.
- სხივური თერაპია ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სიმსივნეების დროს.
- კომპიუტერულ ტომოგრაფია.
- მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია.
- პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფია.
- რენტგენოგრაფია.
- ინტრაოპერაციული რენტგენოსკოპია.
- ინტრაკრანიალური და ბრაქიოცეფალური არტერიების დოპლეროგრაფია.
- ნებისმიერი მიდამოს ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება.
- სქოლიოზის ქირურგიული მკერნალობა.
- ტრანსნაზალური და ტრანსფენოდალური მიდგომა ინტრაკრანიალური სივრცისადმი.
- ტრანსორალური მიდგომა ინტრაკრანიალური სივრცისადმი და ხერხემლის კისრის სეგმენტისადმი.
- ტრანსლამინარული მიდგომა შუა და უკანა ფოსოს სიმსივნეების დროს.
- ოპერაციები ბრაქიოცეფალური არტერიების ექსტრაკრანიალურ სეგმენტზე მათი სტენოზის, ოკლუზიის და S-ის მაგვარი დაკლავნილობის დროს.

3. პროფესიული მზადების სტრუქტურა და რეზიდენტთა შიფასების სისტემა

ნეიროქირურგიაში სწავლის ხანგრძლივობა არის 6 წელი.

რეზიდენტთან მუშაობის სქემა დაყოფილია მზადების თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თეორიული და პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს პარალელურად.

პროგრამა ითვალისწინებს კვალიფიკაციის მაძიებლის მიერ კვირის განმავლობაში მინიმუმ 41 საათიან დაყოვნების პერიოდს საავადმყოფოს გარემოში.

სარეზიდენტო პროგრამა ნეიროქირურგიაში მიზანმიმართულია რეზიდენტის თეორიული და პრაქტიკული მზადებისათვის.

პროგრამის მიმდინარეობის დროს, კვალიფიკაციის მაძიებელს სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე სწავლების შეწყვეტა არ შეუძლია ერთ წელზე მეტი პერიოდის ხანგრძლივობით.

სარეზიდენტო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების დასრულების შემდეგ საექიმო სპეციალობის მაძიებელს/რეზიდენტს ეძლევა შესაბამისი მოწმობა.

თითოეული რეზიდენტი ასრულებს გარკვეულ საქმიანობას. თეორიული პროგრამის შესრულება და მრავლობითი მოდულები/როტაციები გამოიზრუნულია იმისათვის, რომ რეზიდენტმა შეძლოს ავადმყოფთა ფართო სპექტრის განსხვავებული შემთხვევების ნახვა, შესწავლა და მართვა; მიიღოს საგანმანათლებლო გამოცდილება, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე სარეზიდენტო პროგრამით.

ამ პროცესის დროს რეზიდენტებზე ზედამხედველობა ხორციელდება სპეციალურად დანიშნული ექიმების (მოდულზე პასუხისმგებელი პირი) მიერ. თითოეულ რეზიდენტზე ზედამხედველობისა და მისი საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება წერილობითი ანგარიშის სახით. საჭიროა გაკონტროლდეს რეზიდენტის მიერ მისი ინდივიდური გეგმის შესრულება, რეზიდენტის წასვლა-მოსვლის განრიგი, სხვა ვალდებულებანი, რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებული. ზედამხედველობა რეზიდენტისაგან მოითხოვს განსხვავებულ დამოკიდებულებას, ქირურგიული სპეციალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე. აღნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ პროფესიული მზადების დამასრულებელი წლის რეზიდენტს, კომპეტენციასთან ერთად, პროპორციულად ეზრდება პასუხისმგებლობა და მოვალეობები, მათ შორის ავადმყოფთა მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებით.

რეზიდენტის ზედამხედველ ექიმს-მოდულზე პასუხისმგებელ პირს გააჩნია, როგორც იურიდიული, ისე ეთიკური პასუხისმგებლობა პაციენტის მკურნალობასა და მოვლაზე, ამავე დროს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის საქმიანობაზე და განათლებაზე. ამასთან, პროფესიული მზადების დამასრულებელი წლის რეზიდენტს, აღნიშნული ზედამხედველობა უფრო ნაკლები ხარისხით ესაჭიროება, ვიდრე სწავლების საწყის საფეხურზე მყოფ პირებს. მითითებების ჯაჭვი ითვალისწინებს ეტაპობრივი პასუხისმგებლობის ზრდას. უფლებამოსილების გადაცემის საზღვრები, კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ზედამხედველი ექიმის მიერ, გამომდინარე რეზიდენტის აკადემიური მომზადებისა და ტექნიკური მზაობის ასპექტებიდან. ამგვარი მიდგომა უნდა გამომდინარეობდეს პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულზე პასუხისმგებელი პირის ხანგრძლივი დაკვირვებიდან, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან რეზიდენტის მიერ ქირურგიული უნარ-ჩვევების ათვისებაზე და ხარისხზე. ამ პასუხისმგებლობის შესრულებისათვის, მომზადების პროგრამა უნდა მოიცავდეს ზედამხედველობის განხორციელების შემდეგ პრინციპებს:

1. რეზიდენტზე ზედამხედველობის ფორმები შესაძლებელია განისაზღვროს კლინიკის შინაგანაწესით, პოლიტიკით ან სხვა რაიმე პროცედურული ნორმით;
2. სათანადო ზედამხედველობა ხელს არ უნდა უშლიდეს პროგრესულ და შედარებით უფრო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებას რეზიდენტთან დაკავშირებით; ამგვარად, ზედამხედველობის ტიპი შესაძლებელია ვარიირდეს კლინიკური სიტუაციებისა და რეზიდენტის მომზადების ეტაპისა და დონის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულზე პასუხისმგებელი პირი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი რჩევის მიცემის, დახმარების ან კონსულტაციური მხარდაჭერისათვის.

რეზიდენტები პროგრამაში მონაწილეობისას უნდა აკმაყოფილებდნენ დადგენილ აკადემიურ კრიტერიუმებს. წლიდან წლამდე, რეზიდენტთა აკადემიური კომპეტენციისა და კლინიკური უნარ ჩვევების პროგრესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ხორციელდება რეზიდენტთა შეფასების სისტემის საშუალებით. რეზიდენტთა საბაზისო და კლინიკური ცოდნის, კლინიკური უნარ-ჩვევების, ზოგად სამედიცინო ასპექტებისა და სხვა კომპონენტების შეფასების ამსახველი ინფორმაცია საბოლოო ჯამში თავს იყრის რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელთან. რეზიდენტთა განვითარების და მოქმედების პროგრესის მონიტორინგი ეტაპობრივად ხორციელდება თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ. რეზიდენტის შეფასება შესაძლებელია მოხდეს გამოცდის ტიპით მოწყობილი გამოკითხვით: ზეპირი, ტესტური, წერილობითი და ჩვევებზე უშუალო ზედამხედველობის სახით. მოდულის დასრულების შემდეგ შეფასების ანგარიში გადაეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს განსახილველად და ხელმოწერისათვის. რეზიდენტთა შეფასების პოლიტიკა მნიშვნელოვანია ასევე პროგრამის პრომოციის, სრულყოფის, გამოსწორების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თვალსაზრისით. გათვალისწინებულია, რეზიდენტთა შეფასება განხორციელდეს OSCE სისტემის საშუალებით.

4. სარეზიდენტო პროგრამის შინაარსი

სარეზიდენტო პროგრამა დაყოფილია 2 ეტაპად (6 წელი), ზოგად და სპეციფიურ ნაწილად. პირველ ეტაპზე რეზიდენტმა უნდა შეისწავლოს საბაზისო ნეირო-დისციპლინები, ასევე შესწავლილი უნდა იქნას საბაზისო დისციპლინები, რომელიც ერთნაირად ესაჭიროებათ ქირურგიული სპექტრის სხვადასხვა სპეციალისტებს (მზადების 1 წელი) და მომიჯნავე სპეციალობები (მზადების მეორე წელი) ასევე შეისწავლება ნეიროქირურგიის საბაზისო ნაწილი, ხოლო მეორე ეტაპზე ისწავლება ნეიროქირურგიული დაავადებების მართვა და მკურნალობა.

მოდულების ჩამონათვალი

პროგრამის ზოგადი ნაწილი		
პროფესიული მზადების I წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ნეიროანატომია	2 თვე
1.2	ნევროლოგია	2თვე
1.3.	პათომორფოლოგია	1 თვე
1.4	რეანიმაცია	2 თვე
1.5	ნეირორადიოლოგია	2 თვე
1.6	ტრამვატოლოგია-ორთოპედია	2 თვე

პროფესიული მზადების II წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	ზოგადი ქირურგია	5 თვე
2.2	ონკოლოგია	2 თვე
2.3	ანესთეზიოლოგია	2 თვე
2.4	სისხლძარღვთა ქირურგია	2 თვე
პროფესიული მზადების III წელი		
3.1	ზოგადი ნეიროქირურგია	11 თვე
პროგრამის სამედიცინო ნაწილი		
პროფესიული მზადების IV წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
4.1.	ნეიროტრამვა	6 თვე
4.2.	სისხლძარღვოვანი ნეიროქირურგია	5 თვე
პროფესიული მზადების V წელი		
5.1.	პერიფერიული ნერვების ქირურგია	1 თვე
5.2.	ნეიროონკოლოგია	9 თვე
5.3.	ბავშვთა ნეიროქირურგია	1 თვე
პროფესიული მზადების VI წელი		
6.1.	ბავშვთა ნეიროქირურგია (გაგრძელება)	3 თვე
6.2.	სპინალური ნეიროქირურგია	4 თვე
6.3	ენდოსკოპიური ნეიროქირურგია	4 თვე

5. პედაგოგიური პერსონალი და საბანმანათლებლო რესურსები

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები:

1. საექიმო სპეციალობების მაძიებელთა/რეზიდენტთა შერჩევის კრიტერიუმებისა და მისაღები პროგრამის განსაზღვრა. რეზიდენტურაში მიღების პროცესში მონაწილე კომისიის წევრების განსაზღვრაში მონაწილეობა.
2. დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტირებული პროგრამის შეუფერხებელი მიმდინარეობაზე კონტროლი.
3. სამედიცინო დაწესებულებისა და მოდულზე პასუხისმგებელი პირის მითითებით რეზიდენტის ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის შედგენა.
4. წინასწარ დადგენილი ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი.
5. ყოველწლიური შეფასების შედეგების გათვალისწინებით რეზიდენტისათვის რეკომენდაციის მიცემა პროგრამის გაგრძელების შესახებ.
6. მოდულზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად დადგენილი წესის მიხედვით წოველწლიურად რეზიდენტის მუშაობის შეფასება.
7. რეზიდენტის საქმიანობის არაღამაკმაყოფილებელი წლიური შეფასებისას მოხსენებითი ბარათის წარდგენა გარიცხვის შესახებ.
8. რეზიდენტურის კურსის წარმატებული დასრულების შემდეგ რეზიდენტის შემაჯამებელი ატესტაციის ჩატარება და რეზიდენტურის კურსის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობის გაცემის შესახებ რეკომენდაციის მიცემა.
9. მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება.

მოდულზე პასუხისმგებელი პირის ანუ ლოკალური ხელმძღვანელის მოვალეობები:

1. რეზიდენტების შერჩევის პროცესში მონაწილეობა.
2. პროგრამ დირექტორთან ერთად ყოველწლიურად რეზიდენტების მუშაობის დადგენილი წესის მიხედვით შეფასება.

3. პროგრამ დირექტორთან ერთად რეზიდენტის ატესტაციის ფორმატის შემუშავება.
4. რეზიდენტის შემაჯამებელი ატესტაციის პროცესში მონაწილეობა.
5. სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის მუშაობის წარმართვა.
6. რეზიდენტებთან პედაგოგიური მუშაობისათვის თავისი საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა.
7. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით, პროგრამა დირექტორისათვის რეზიდენტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა.
8. რეზიდენტის დღიურში რეზიდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება.
9. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა ხელმძღვანელისათვის რეზიდენტურის პროგრამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტაციის გაწევა.

რეზიდენტის უფლება/მოვალეობანი:

1. რეზიდენტი ვალდებულია შეასრულოს რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;
2. რეზიდენტი ვალდებულია პროგრამით განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ დღიურში;
3. რეზიდენტი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს დაწესებულების განრიგით განსაზღვრული საქმიანობა;
4. რეზიდენტს უფლება აქვს პროგრამის დაუბრკოლებელი დაძვევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, თანამედროვე ტიპის კლინიკური და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);
5. რეზიდენტს უფლება აქვს პროგრამის კურიკულუმის დარღვევის ან შეფერხების შესახებ წერილობით აცნობოს სასწავლო დაწესებულებას;
6. რეზიდენტი შეიძლება გარიცხული იქნას რეზიდენტურიდან ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერაძღვევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტის გარიცხვის შესახებ იღებს პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო დაწესებულებაში შესაბამისი მოხსენებითი ბარათის წარდგენით;
7. რეზიდენტი ვალდებულია გაიაროს შუალედური, ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება. *შუალედური შეფასება* ხორციელდება ყოველი მოდულის დასასრულს მოდულის პასუხისმგებელ პირთან, *ეტაპობრივი შეფასება* – სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, *საბოლოო შეფასება* – პროგრამის დასრულების შემდეგ. რეზიდენტს, რომელიც მიიღებს შეფასებას 50%-75% მიეცემა გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის უფლება, ხოლო 50%-ზე დაბალი შეფასების მქონე რეზიდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება 2 კვირის შემდგომ წინასწარ დამატებითი ერთკვირიანი ტრენინგის გავლის შემდგომ – ტრენინგის პროგრამას განსაზღვრავს პროგრამ დირექტორი.
8. სარეზიდენტო პროგრამის სრულად და ხარისხიანად გავლის შემთხვევაში, რეზიდენტი იღებს დიპლომის/შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლის დამადასტურებელ მოწმობას.
9. სარეზიდენტო პროგრამის (მოდულის) არასათანადო გავლის ან ტესტირებისას არადამაკმაყოფილებელი შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელი რეზიდენტთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომლებიც დამატებით უნდა გაიაროს რეზიდენტმა.
10. დიპლომის/შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) რეზიდენტურის პროგრამა არ ჩაითვლება გავლილად, თუ განმეორებით სარეზიდენტო პროგრამის 2-ჯერ მეტ ვადაში მაძიებელი ვეღარ ასწრებს სარეზიდენტო პროგრამის შემადგენელი მოდულის/მოდულების გავლას ან რომელიმე მოდულში განმეორებით მიიღებს უარყოფით შეფასებას. ასეთ შემთხვევაში მაძიებელი მიიღებს ცნობას დიპლომის/შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის მოსმენის თაობაზე.

სარეზიდენტო პროგრამა კონცენტრირებული უნდა იყოს პოსპიტალებში, სადაც ადვილად ხელმისაწვდომია ყველა საჭირო სამედიცინო და ტექნიკური საშუალებები. თითოეულ განყოფილებაში უნდა იყოს საშუალოდ 4 ან მეტი კონსულტანტი ქირურგი, რომელთაგან თითოეული მათგანი წელიწადში დაახლოებით 50-ზე მეტ დამოუკიდებლად ოპერაციას და/ან ასისტენციას უნდა ასრულებდეს.

6. პროგრამის ხანგრძლივობა

სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობაა 6 წელი. სარეზიდენტო პროგრამა დაყოფილია 2 ეტაპად, ზოგად და სპეციფიურ ნაწილად. პირველ ეტაპზე რეზიდენტმა უნდა შეისწავლოს საბაზისო ნეიროდისციპლინები, ასევე შესწავლილი უნდა იქნას საბაზისო დისციპლინები, რომელიც ერთნაირად ესაჭიროებათ ქირურგიული სპექტრის სხვადასხვა სპეციალისტებს (მზადების პირველი წელი) და მომიჯნავე სპეციალობები (მზადების მეორე წელი), ასევე შეისწავლება ნეიროქირურგიის საბაზისო ნაწილი, ხოლო მეორე ეტაპზე შესწავლება ნეიროქირურგიული დაავადებების მართვა და მკურნალობა.

7. პროგრამის განახლების პერიოდულობა

პროგრამის განახლება გადახედვა უნდა ხდებოდეს ხუთ წელიწადში ერთხელ.

II. პროგრამის ზოგადი ნაწილი

პროფესიული მზადების I ფლის მოღვაწეები

მოდული 1.1

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – ნეიროანატომია, 2 თვე.

მოდულის მიზანი- რეზიდენტის მიერ შესწავლილ იქნას ფუნდამენტური და მიკრო ნეიროანატომია.

ლიტერატურის ნუსხა –

1. მალკოლმ კარპენტერი - ფუნდამენტალური ნეიროანატომია, Georgian edition , 2002.
 2. Wolfgang Seeger-atlas of Topographical Anatomy of the Brain and Surrounding Structures, Springer-Verlag, Wien, N/Y, 1987.
2. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1.1-ის სახით).

(ცხრილი № 1.1

თეორიული კურსი	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> - თავისა და ზურგის ტვინის განვითარება; - თავისა და ზურგის ტვინის, ასევე კრანიალური და პერიფერიული ნერვების ჰისტომორფოლოგიური შენება. - თავისა და ზურგის ტვინის, ასევე კრანიალური და პერიფერიული ნერვების ფუნქციური თავისებურებები. - ხერხემლის მალეების აგებულება - ხერხემლის სვეტის შემადგენელი ნაწილები და მათი დახასიათება -(მაკრო და მიკრომორფოლოგიური, კუნთების განლაგება. მყესოვანი აპარატის როლი, სახსრების შემადგენელი ნაწილები და ა.შ.) - თავის ტვინის მაკრომორფოლოგიური და მიკრომორფოლოგიური დახასიათება. - თავის ტვინის ფუნქციური დატვირთვა წილების მიხედვით - თავის ტვინის სისხლმომარაგების თავისებურებანი - ტავის ტვინის ენდოკრინული ფუნქცია და მისი შემადგენელი ნაწილები. 	<p>ზეპირი შეფასება</p>

<ul style="list-style-type: none"> - თავისა და ზურგის ტვინის ლიქვორომიმოქცევა. - ზურგის ტვინის მიკრო და მაკრომორფოლოგიური დახასიათება. - თავისა და ზურგის ტრაქტების დახასიათება. - თავის ქალას ძვლების დახასიათება, ფუნქცია, აგებულება, განლაგება. 	
--	--

მოდული 2.

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ნეპროლოზია** (ნეიროფიზიოლოგია, ზოგადი ნევროლოგია, კერძო ნევროლოგია).- 2 თვე.
2. **მოდულის მიზანი**- ნევროლოგია კლინიკური ნეიროქირურგიის ინტეგრირებული ნაწილია, მოდულის მიზანია რეზიდენტებმა შეისწავლონ ავადმყოფის ნევროლოგიური გასინჯვა, ნევროლოგია, ნერვული სნეულებები და ტოპოგრაფიული ნევროლოგია, რისი ცოდნაც აუცილებელია ნეიროქირურგიული ავადმყოფების სწორი დიაგნოსტიკის, ადეკვატური მართვისა და მკურნალობისათვის.
3. **ლიტერატურის ნუსხა** –

მაღკოლმ კარპენტერი - ფუნდამენტალური ნეიროანატომია, Georgian edition , 2002.

მარინეჯანელიძე - კლინიკური ნევროლოგია -თბილისი 2009;
Roger Simon, David Greenberg and Michael Aminoff – Clinical neurology, lange, Mar 9, 2009.
Stephen Hauser and Scott Josephson Harrison's Neurology in Clinical Medicine, Second Edition 2010;

4. **შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები.** (მოცემულია ცხრილი № 1.2-ის სახით).

(ცხრილი № 1.2

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> - ნევროლოგიური გასინჯვა, ძირითადი სიმპტომები რომელიც ვეხვდება ამ დროს. - ნევროლოგიური პაციენტის შეფასება. - კრანიალურ ნერვთა ფუნქცია და მათი შეფასების მეთოდები; - პაციენტის შეფასება მისი მდგომარეობის (პოზა, სიარულის მანერა, ჯდომის თავისებურება) განსაზღვრა და როლი დიაგნოსტიკაში. - ნევროლოგიური სტატუსი – შეფასება კარნოვსკის, გლაზგოს, ფიშერის, სპეცლერ-მარტინის მიხედვით. - ნერვული სნეულებები და ტოპოგრაფიული თავისებურებანი - ნევროლოგია – გამოწვეული სხვადასხვა მოცულობითი პროცესების დროს. - პარციალური და გენერალიზებული გულყრები – მათი გამოვლენის სპეციფიკა და როლი ნეიროქირურგიაში. - ზურგის ტვინისა და პერიფერიული ნერვების 	<p>რეზიდენტმა თავისუფლად უნდა შეძლოს ყველა ნევროლოგიური სპექტრის პაციენტთა ანამნეზის შეკრება, დიაგნოსტიკური მონაცემების ინტერპრეტირება და პაციენტთა კლინიკური გასინჯვა</p>	<p>50 პაციენტის შეფასება</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, მოდულზე პასუხისმგებელი პირი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული და თეორიულ მომზადების დონეს.</p>

დაზიანების ნიშნები და მათი კლინიკური შეფასება.			
--	--	--	--

მოდული 1.3.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - პათომორფოლოგია (ნერვული ქსოვილის ცვლილებები ამა ტუ იმ პათოლოგიის დროს. ონკოლოგიური დაავადებებისათვის დამახასიათებელი უჯრედშიდა და ქსოვილოვანი ცვლილებების დახასიათება.)- 1 თვე.
2. მოდულის მიზანი- პათომორფოლოგია ნეიროქირურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მოდულის მიზანია რეზიდენტებმა შეისწავლონ ნერვულ ქსოვილში მიმდინარე ცვლილებები ამა თუ იმ ტიპის (ანთებითი, ონკოლოგიური, ნაწიბურვანი) ცვლილებები და მოახდინონ მონაცემთა სწორი ინტერპრეტირება. საჭიროა რომ თითოეული დაავადების საფუძველი ნაცნობი იყოს პრაქტიკულად მოდვაწე ნეიროქირურგისათვის.
3. ლიტერატურის ნუსხა –
 1. Clinical pathology – James Carton, Richard Daly, Pramila Ramani. – Oxford University Press 2007.
 2. Pathology Medical Student - Cory A. Roberts, Jones and Bartlett learning, 2000.
 3. Clinical pathology; application and interpretation - Benjamin Baxter Wells. saunders.
 4. პათოლოგიური ანატომია – ო.ხარძეიშვილი.
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1.2-ის სახით).

ცხრილი № 1.2

თეორიული კურსი	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> • ზოგადი პათოლოგიური ანატომია შეისწავლის ავადმყოფური პროცესების (სისხლის მიმოქცევის მოშლა, დისტროფია, ანთება, სიმსივნე და სხვა) მორფოლოგიას. • სპეციალური პათოლოგიური ანატომია შეისწავლის ავადმყოფობის სტრუქტურულ და ფუნქციურ დინამიკას კლინიკურ გამოვლინებებთან კავშირში, აგრეთვე ავადმყოფობის გამოსავალს ადამიანზე. • კერძო პათოლოგიური ანატომია შეისწავლის სხვადასხვა ორგანოში განვითარებული პათოლოგიური ცვლილებებს. • კლინიკური პათოლოგიური ანატომია ითვალისწინებს პათოლოგიურ პროცესთა დაავადმყოფობათა მკურნალობის და დიაგნოზის დადგენას, კლინიკური და პათოლოგიური ანატომიის დიაგნოზის დაპირისპირებას, პათოლოგიური ანატომიის დოკუმენტაციას, კლინიკურ-პათოლოგიური ანატომიის კონფერენციების ორგანიზაციას და ჩატარებას და სხვა. 	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, მოდულზე პასუხისმგებელი პირი აფასებს რეზიდენტის პრაქტიკული და თეორიული მომზადების დონეს.</p>

მოდული 1.4.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – რეანიმაცია 2 თვე
2. მოდულის მიზანი- რეზიდენტმა შეძლოს რთულად სამართავი დაავადებების და დაავადებების რეანიმაციაში შეფასება ანალიზი და შემდგომი მკურნალობის დაგეგმვა. ასევე რეანიმაციაში არსებული სხვადასხვა მანიპულაციათა სპექტრის შესრულება. ასევე რეზიდენტი დროის ამ განსაზღვრულ პერიოდში უნდა გაეცნოს კრიტიკულ მდგომარეობათა პრევენციისა და მკურნალობის მეთოდებს. მოდულის დასრულების შემდგომ რეზიდენტმა უნდა შეძლოს ნეირორეანიმაციული პაციენტების მკურნალობის სპეციფიკის განსაზღვრა და მკურნალობაში მონაწილეობა.

3. ლიტერატურის ნუსხა –

1. ზურაბ ხელაძე – კრიტიკული მედიცინა – კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, თბილისი 2007წ.
2. Marino's The ICU Book (ICU Book (Marino))by Paul L. Marino MD PhD FCCM.
3. Neurocritical Care Board Review: Questions and Answersby Asma Zakaria M.2013

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1.3-ის სახით).

ცხრილი № 1.3

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
პაციენტის მართვა ნეიროტრავმის დროს;	პაციენტის ICP მონიტორინგი; ინტრაკრანიალური წნევის მართვა;	10	მოდულის მიმდინარეობის დროს, მოდულზე პასუხისმგებელი პირი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული და თეორიულ მომზადების დონეს.
პაციენტის მართვა ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევების დროს;	ინფექციის მართვა; ლუმბალური პუნქცია; არტერიის პუნქცია;	20 20 10	
პაციენტის მართვა ინფექციური გართულებებისას;	ცენტრალური და პერიფერიული ვენის პუნქცია;	10	
	პაციენტის შეფასება და მართვა	30	

მოდული 1.5.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა-ნეირორადიოლოგია - 2 თვე

მოდულის მიზანი- ნეირორადიოლოგია თანამედროვე ნეიროქირურგიული დიაგნოსტიკის ერთ-ერთ ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს და იგი ნეიროქირურგიულ მდგომარეობათა დიაგნოსტიკისძირითად საშუალებად ითვლება. ამდენად, ნეიროქირურგის მიერ რადიოლოგიური ტექნიკის ფლობა და მისი შედეგების ინტერპრეტაცია დიდი მნიშვნელობისაა ქირურგიულ ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხების წარმატებულად გადასაწყვეტად. მოდულის მიზანს წარმოადგენს რეზიდენტის მიერ ნეირორადიოლოგიის შესწავლა და მისი შედეგების ინტერპრეტაციის უნარის ჩამოყალიბება.

5. ლიტერატურის ნუსხა –

1. Anne G. Osborn, Karen L. Salzman and A. James Barkovich Diagnostic Imaging: Brain: Published by by Amirsys - Dec 4, 2009.

Valery N. Kornienko and I.N. Pronin Diagnostic Neuroradiology by Valery N. Kornienko and I.N. Pronin - Feb 13, 2009

6. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1.3-ის სახით).

ცხრილი № 1.3

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
წარმოადგენს რეზიდენტის მიერ ნეირორადიოლოგიის შესწავლა და მისი შედეგების ინტერპრეტაციის უნარის ჩამოყალიბება.	1.თავისა და ზურგის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია.	50	მოდულის მიმდინარეობის დროს, მოდულზე პასუხისმგებელი პირი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული და თეორიულ მომზადების
	2. თავისა და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია.	20	
	3. თავისა და ზურგის ტვინის სისხლძარღვების ანგიოგრაფიული კვლევა.	10	

მოდული 1.6.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ტრავმატოლოგია-ორთოპედია, 2 თვე.
2. მოდულის მიზანი - ორთოპედიული ქირურგია წარმოადგენს ქირურგიის განშტოებას, რომელიც ორიენტირებულია ძვალ-კუნთოვანი სისტემის მწვავე, ქრონიკულ, ტრავმულ დაავადებებზე და სხვა სახის პათოლოგიებზე. ამავდროულად არსებობს ვერტებრალური ქირურგია, რომელიც როგორც ტრავმატოლოგია ასევე ნეიროქირურგია კომპეტენციაში შედის, აგრეთვე ძალიან ხშირია ქალა-ტვინისა და ძვალ-კუნთოვანი სისტემის შერწყმული ტრავმა, რომლის მართვის დროს ნეიროქირურგმა აუცილებლად უნდა იცოდეს ორთოპედიული პათოლოგიის მართვის ნიუანსები. ორთოპედიული მოდულის მიზანია, რეზიდენტმა შეძლოს ძირითად ორთოპედიულ პრობლემებში გარკვევა, ორიენტირება და გარკვეულ შემთხვევებში ადექვატური დახმარების გაწევა.
3. ლიტერატურის ნუსხა-იხ. დანართი
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები.(მოცემულია ცხრილი № 3.4-ის სახით).

ცხრილი № 3.4

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შეფასების მეთოდები
რბილი ქსოვილების ტრავმა – დაუქვილობა, ექსკორიაცია, ჭრილობები. სახსრის ტრავმული დაზიანება – ღრძობა, პოსტტრავმული ართრიტი, ჰემართროზი, სახსრის კუნთოვანი – იოგოვანი აპარატის დაზიანება – მხრის, იდაყვის, სხივ-მაჯის, მენჯ-ბარძაყის, მუხლის და კოჭ-წვივის. სხვადასხვა ლოკალიზაციის მოტეხილობები – ზედა და ქვედა კიდურები, მენჯი. ხერხემლის პათოლოგიები, სქოლიოზის ქირურგიული მკურნალობა.	რბილი ქსოვილების ტრავმის დიაგნოსტიკა, ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება, შეხვევა, მონიტორინგი. – 50ერთ. ამოვარდნილობის ჩასწორება – მხარი (2), წინამხარი (2), სხივ-მაჯის სახსარი (2), ბარძაყის (2), წვივი (2), კვირისტავი (2), ტერფი (2). იმობილიზაცია რბილი (10) და თაბაშირის (10) ნახვევით. სახსრის პუნქცია ჰემართროზის დროს. - 5 მოტეხილობის კლინიკო-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა – 20. იმობილიზაცია – არტაშნით (5), რბილი დაჭიმვით (5), თაბაშირის ნახვევით(5).	მოდულის მიმდინარეობის დროს, მოდულზე პასუხისმგებელი პირი და ზედამხედველი ექიმი აფასებენ რეზიდენტის პრაქტიკული და თეორიულ მომზადების დონეს.
	ოსტეოტომია, ოსტეოსინთეზი, სეკვესტრექტომია, ძვალშიგა ფიქსაცია, ძვლის პლასტიკა, ძვლის რეზექცია, ართროტომია, ართროპლასტიკა, ართროდეზი-სულ 10 მანიპულაცია	
	ბარძაყის სახსრის შეცვლა – 3 ასისტენცია	
	ხერხემლის პათოლოგიები, სქოლიოზის ქირურგიული მკურნალობა.	

პროფესიული მზადების II წლის მოდულები

მოდული 2.1.

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – ზოგადი ქირურგია- 5 თვე
2. საწყისი სტადიის მიზანია რეზიდენტს განუვითაროს ქირურგიული საბაზისო და ფუნდამენტური ჩვევები, რაც საერთოა ყველა ქირურგიული სპეციალობისთვის. მოდულის მიზანია, საორიენტაციო პროგრამის შემდგომ რეზიდენტს გააცნოს ზოგადი ქირურგიის ძირითადი კომპონენტები. რეზიდენტმა უნდა აითვისოს პრე-, ინტრა- და პოსტოპერაციული მართვის საკითხები. იგი უნდა გაეცნოს ასევე ქირურგიული ინფექციისა და კლინიკური მიკრობიოლოგიის თავისებურებებს, ქირურგიული და ნოზოკომიური ინფექციის პრევენციის გზებს. პრაქტიკულ ნაწილში რეზიდენტმა უნდა დაიწყოს მცირე ქირურგიული მანიპულაციების შესრულება. მათ შორის უნდა დაეუფლოს ჭრილობის პირველად ქირურგიულ დამუშავებას, დამუშავების სპეციფიკას მიდამოების მიხედვით. პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის პალატაში რეზიდენტი უნდა დაეუფლოს ქირურგიული ავადმყოფის შეფასების უნარებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს პემოდინამიკურ და პომეოსტაზურ მახვენებლებზე და მათი დარღვევის კორექციის გზებზე. რეზიდენტი, რამდენიმე თვის შემდეგ უნდა ასრულებდეს პოლიკლინიკური ქირურგიის ტიპურ მანიპულაციებს. მოდულის ბოლოს, რეზიდენტი ეუფლება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ქირურგიულ კომპონენტებს, მათ შორის ტრაქეოტომის, ტრაქეის ინტუბაციის ტექნიკას და თეორიულ საფუძვლებს.

ლიტერატურის ნუსხა –

1. გრიგოლია ნ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი. 2000.
2. კუზინი მ. ქირურგიული სნეულებები. მოსკოვი. 2004.
(თარგმანი).
3. ლ. კიკალიშვილი, ე. ყიფიანი, დ. კორძაია. ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბილისი. 2005.
4. Schwartz; Shires; Spencer
Principles of Surgery. Eighth Edition. 2004.
5. Bailey and Love's Short Practice of Surgery (A Hodder Arnold Publication). by [Norman S Williams](#) (Author), [Christopher J.K. Bulstrode](#) (Author), [P Ronan O'Connell](#) (Author) , 25th edition, 2006
6. Sarrel B.E., Carabasi R.A.
Surgery. National Medical Series for Independent Study. 1995.
7. Silverberg S.C.
Principles and Practice of Surgical Pathology.
8. Speciality Review in General Surgery. The National Center for Advanced Medical Education. 2001.
9. Way L.W.
Surgical Diagnosis and Treatment. 1994.
10. Way L.W., Doherty G.M.
Current Surgical Diagnosis and Treatment. 2004.
11. Kant X.
Scientific Basic for the Selection of Surgical Needles and Sutures. 1999.
12. Кузин М.И. Хирургические болезни, Москва, 2003.

http://www.medtrng.com/tutorials_and_simulators_part_8.htm

(clinical surgery, surgical videos).

www.surgical-tutur.org.uk

<http://www.surgicalcourses.org.uk/>

www.dundee.ac.uk/surgicalskills/index.htm

<http://www.update-software.com/publications/cochrane/>

<http://www.ncepod.org.uk/>

<http://www.intumed.com/>

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 2.1-ის სახით).

ცხრილი № 2.1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები

